



**CONTEMPORARY  
EDUCATION ACADEMY**

შპს თანამედროვე  
განათლების აკადემია

ი. ჭავჭავაძის გამზ. 37  
თბილისი 0179, საქართველო

+995 32 291 35 35  
+995 32 291 35 36  
info@cea.ge

შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N01/46

ქ. თბილისი

09 ივლისი, 2024 წელი

შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენის და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ

შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ წესდების მე-9 მუხლის 9.2 პუნქტის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენის და შეწყვეტის წესი N1 დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს აკადემიის საქმეთა მმართველს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“

დირექტორი



/დავით მალაზონია/



**CONTEMPORARY**  
EDUCATION ACADEMY

თანამედროვე  
განათლების აკადემია

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძღვევის,

მობილობის, სტაგუსის  
შეჩერების/აღღენისა და შეწყვეტის წესი

დამტკიცებულია 2024 წელს

## **მუხლი 1. მოქმედების სფერო**

წინამდებარე წესი არეგულირებს შპს „თანამედროვე განათლების აკადემიაში“ (შემდეგში „აკადემია“) მოსწავლის სტაგუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესებსა და პროცედურებს.

## **მუხლი 2. მოსწავლის ცნება**

მოსწავლე არის პირი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჩაირიცხა მოგალსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და სწავლობს დაწყებით, საბაზო ან საშუალო საფეხურზე.

## **მუხლი 3. მოსწავლის სტაგუსის მოპოვება - პირველ კლასში ჩარიცხვა**

1. აკადემიის პირველ კლასში ბავშვები ჩაირიცხებიან კანონმდებლობით განსაზღვრული ასაკიდან.
2. პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, მოგალსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ბღვრული რაოდენობის ფარგლებში, მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში;
3. პირველ კლასში ბავშვის ჩასარიცხად მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
  - 3.1. განცხადება აკადემიის დირექტორის სახელზე;
  - 3.2. ბავშვის ფოტოსურათი (3X4);
  - 3.3. ბავშვის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - 3.4. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში ბინადრობის მოწმობის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
  - 3.5. მშობლების პირადობის მოწმობების ასლები;
  - 3.6. სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ინფორმაცია პროფილაქტიკური აცრების შესახებ.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, განცხადებას აგრეთვე უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრული რეგისტრაციისა და ჩარიცხვის ვადების გასვლის შემდეგ შესაძლებელია განხორციელდეს მოსწავლის პირველ კლასში განსხვავებულ ვადებში ჩარიცხვა შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანხმობით, ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შეიძლება უარი ეთქვას ბავშვის აკადემიაში ჩარიცხვაზე, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა აღარბებს

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კლასში მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობას.

7. აკადემიაში მოსწავლის ჩარიცხვისას მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია აკადემიასა და მშობლის ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

8. აკადემიაში მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვისას იხსნება მოსწავლის პირადი საქმე.

#### **მუხლი 4. მოსწავლის სტატუსის არმქონე პირის აკადემიაში ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მოპოვება**

1. თუ მოსწავლე არ სწავლობდა საქართველოში ან სწავლა შეწყვეტილი ჰქონდა ამორიცხვის საფუძველზე, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ან სრულწლოვან პირს უფლება აქვს მიმართოს აკადემიას სწავლის გაგრძელების სურვილით.

2. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს არ აქვს საგანმანათლებლო ისტორია ან

მან გარკვეული მიზეზების გამო გამოტოვა კლასი/კლასები, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მას უფლება აქვს, ექსტერნატის გარეშე ჩაირიცხოს აკადემიაში ასაკის შესაბამის კლასში ან

არაუმეტეს 3 კლასით დაბალ კლასში. 18 წელს გადაცილებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი აკადემიაში ირიცხება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით განსაზღვრულ დაწყებით ან საბაზო საფეხურზე შესაბამის კლასში.

#### **მუხლი 5. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებით მოსწავლის ჩარიცხვა**

1. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების გათვალისწინებით მოსწავლის მისაღებად, მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა პირველ რიგში, აკადემიას განცხადებით უნდა მიმართოს მისი შვილის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესაბამისობის დასკვნის შედგენის მოთხოვნით.

2. მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესაბამისობის დადგენის მოთხოვნას თან უნდა

ლაურთოს:

- ა) ქართულ ენაზე ნათარგმნი და სანოგარო წესით დამოწმებული ნიშნების ფურცლის ასლი, რომელიც იმ სკოლის მიერაა შედგენილი, რომელშიც მოსწავლე უცხოეთში სწავლობდა;
  - ბ) მოსწავლის დაბადების მოწმობის ასლი ან პასპორტის/დაბადების მოწმობის სანოგარო წესით დამოწმებული თარგმანის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში);
  - გ) მშობლის პირადობის ან ბინადრობის მოწმობა ან პასპორტის ნათარგმნი და სანოგარო წესით დამოწმებული ასლი;
3. მიმართვის შემდგომ აკადემია ადგენს უცხოეთში მიღებული განათლების შესაბამისობის დასკვნას სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ დადგენილი რეკომენდაციების შესაბამისად, რომელსაც მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წარადგენს სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში“. მან თან უნდა იქონიოს შემდეგი დოკუმენტები:
- აკადემიის მიერ შედგენილი დასკვნა;
  - ქართულ ენაზე ნათარგმნი და სანოგარო წესით დამოწმებული ნიშნების ფურცლის ასლი;
  - მოსწავლის დაბადების მოწმობის ნათარგმნი და სანოგარო წესით დამოწმებული ასლი, თუ საქართველოშია გაცემული, მაშინ დედანი;
  - თავისი პირადობის ან ბინადრობის მოწმობა ან პასპორტის ნათარგმნი და სანოგარო წესით დამოწმებული ასლი;
  - აღიარების პროცედურის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
4. უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე განცხადების წარდგენის დამადასტურებელი ცნობის საფუძველზე, ცენტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მიმართოს აკადემიას, ხოლო აკადემია უზრუნველყოფს შესაბამისი კლასის გაკვეთილზე დასწრების შესაძლებლობას, სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით.
5. მოსწავლე ირიცხება სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტში მითითებული კლასის შესაბამისად. განსხვავებული საგნები, რომელშიც შესაბამისობა ვერ დადგინდა, მოსწავლემ უნდა დაძლიოს ექსტერნაგის ფორმით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.
6. თუ მოსწავლეს აღიარება ვერ დაუდგინდა, იგი ირიცხება ასაკის შესაბამის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის შემთხვევაში ერთი კლასით დაბალ კლასში.
7. ჩარიცხვის ბრძანების საფუძველზე აკადემია მოსწავლეს ამაგებს [eschool.emis.ge](http://eschool.emis.ge)-ს ბაზაში.

## **მუხლი 6. საფეხურის დაძლევა**

1. აკადემიაში დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
2. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების აგესტაციის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.
3. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

## **მუხლი 7. მობილობის უფლება**

1. მობილობის უფლების განხორციელების უფლება აქვს აკადემიის ნებისმიერ მოსწავლეს, რომელიც ირიცხება აკადემიაში.
2. მობილობის უფლების განსახორციელებლად, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს აქტიური სტატუსი. თუ მოსწავლეს შეჩერებული აქვს სტატუსი სკოლაში, მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა ან სრულწლოვანმა მოსწავლემ უნდა მიმართოს სტატუსის აღდგენის მოთხოვნით იმ სკოლას, რომელშიც სტატუსი აქვს შეჩერებული, ხოლო შემდეგ განხორციელდეს მობილობა.

## **მუხლი 8. მობილობა**

1. მოსწავლეების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს აკადემიაში არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში.
2. მობილობა დაუშვებელია პირველი სექტემბრიდან 01 ოქტომბრამდე, მე-12 კლასის მე-2 სემესტრის მიმდინარეობისას და სასწავლო წლის დასრულებამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
3. ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი გერიგორიული ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში მიიღოს გადაწყვეტილება მოსწავლის მობილობის თაობაზე.
4. აკადემია უფლებამოსილია, მობილობის მსურველის ჩარიცხვამდე, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე, დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა, ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

## **მუხლი 9. მობილობის დროს წარმოსადგენი დოკუმენტაცია**

1. მოსწავლის მობილობის დროს წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

1.1. განცხადება აკადემიის დირექტორის სახელზე, რომელიც უნდა შეიცავდეს განმცხადებლის პირად ნომერს, საცხოვრებელ ადგილს და გელეფონის ნომერს;

1.2. მოსწავლის პირადი საქმე/წინა კლასის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;

1.3. ინფორმაცია საგნების მიხედვით მიმდინარე შეფასებისა და გაცდენილი საათების შესახებ (სასწავლო წლის განმავლობაში მობილობის დროს);

1.4. მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

1.5. მშობლების პირადობის მოწმობების ასლები;

1.6. მოსწავლის ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში));

1.7. მშობლის ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში));

1.8. სსსმ მოსწავლის მობილობით ჩარიცხვის შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა.

2. ამ მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.

3. მოსწავლეს შეიძლება უარი ეთქვას აკადემიაში ჩარიცხვაზე, თუ შემოსულ განცხადებათა რაოდენობა აჭარბებს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კლასში მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობას.

4. აკადემიაში მოსწავლის ჩარიცხვისას მოსწავლის მშობელთან (კანონიერ წარმომადგენელთან) ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია აკადემიასა და მშობლის ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

## **მუხლი 10. მოსწავლის სტატუსის შეჩერება**

1. აკადემია ვალდებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოსწავლე 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება აკადემიაში/არ მონაწილეობს დისკანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას;

ბ) მოსწავლე მიემგზავრება/გაემგზავრა საბღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს აკადემიას;

გ) არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/სრულწლოვანი მოსწავლე აკადემიას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. არასრულწლოვანი მოსწავლის სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილების მიღებამდე აკადემია ვალდებულია მოიკვლიოს და დაადგინოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის მიზეზები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე, კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გარდა, აკადემია ვალდებულია განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, ბედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელმა/ტუტორმა მოამზადოს წერილობითი ანგარიში მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გაგარებული ღონისძიებების შესახებ და მიღწეული შედეგის შესახებ, რომელსაც აკადემია მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს რესურსცენტრს, ხოლო ბედიზედ მოსწავლის მიერ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ, კლასის დამრიგებელი/ტუტორი შესაძლებლობის შემთხვევაში ახორციელებს ვიზიტს ოჯახში მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნითა და მიზეზების დასადგენად.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჩერდება მოსწავლის სტატუსი და თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის აკადემიაში გამოუცხადებლობა/მონაწილეობის მიუღებლობა დისკანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩაგარებულ გაკვეთილებში, გახდა მიზეზი არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვისა, აკადემია მოქმედებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

4. მოსწავლეს ავტომატურად უჩერდება სტატუსი, თუ აკადემიას უარი ეთქვა ავტორიზაციაზე, გაუქმდა ავტორიზაცია ან გავიდა ავტორიზაციის ვადა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ათი სამუშაო დღის ვადაში არ მიმართავს სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მობილობის მოთხოვნით.

## **მუხლი 11. მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა**

1. მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა უნდა მიმართოს სკოლას, რომელმაც შეუჩერა მოსწავლეს სტატუსი ან მის უფლებამონაცვლეს.

2. იმ შემთხვევაში, თუ სკოლამ შეწყვიტა საგანმანათლებლო საქმიანობა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე,

მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა,

უნდა მიმართოს იმ სკოლას, სადაც სურს სწავლის გაგრძელება.



3. მოსწავლეს აღუდგება მოსწავლის სტატუსი იმავე კლასში, სადაც შეუჩერდა სტატუსი.
4. იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება მოსწავლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომდევნო კლასის/კლასების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის ფაქტი, მას სტატუსი აღუდგება შესაბამის კლასში.
5. მოსწავლის სტატუსის აღდგენა ხდება აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
6. მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ ინფორმაცია აკადემიამ უნდა ასახოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

### **მუხლი 12. სტატუსის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია**

1. ფინანსური დავალიანების არსებობის შემთხვევაში, აკადემია უზრუნველყოფს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობით გაფრთხილებას და განუსაზღვრავს მას გონივრულ ვადაა შესაბამისი ვალდებულების შესასრულებლად, აგრეთვე განუმარტავს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგებს.
2. წერილობითი გაფრთხილების შემდეგ, თუ მშობელმა არ დაფარა სწავლის გადასახადი, აკადემია უფლებამოსილია ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვიტოს მოსწავლის სტატუსი მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე. აკადემია მოსწავლისთვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღეს წერილობით აცხობინებს სამინისტროს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს ამ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

### **მუხლი 13. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებული და დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის ბრძანებით.
2. დოკუმენტში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.